Embassy of the United States of America

September 21, 2021
Tbilisi Georgia

Mr. Belo Tsverikmazashvili
Director of "Belo and company" Ltd.
E-mail: belotsverikmazashvili@yahoo.com
Tel.: +995 593794004

Dear Mr. Tsverikmazashvili,

Thank you for your letter requesting a permission of a building near the US Embassy Compound.

The Embassy has no objection to the structure of the building as submitted to us at land cadastral code - 01.13.01.004.164 and application registration number in the Tbilisi City Hall architectural department #AR1844070.

If you have any substantive changes to the design of the structure, please inform us of them in advance.

Sincerely yours,

Jason Kalbfleisch
Management Counselor
US Embassy Tbilisi

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

2021 წლის 21 სექტემბერი
თბილისი, საქაფრთველო

ბ.ნ ბელო წვერიქმაზაშვილი
შპს "ბელო და კომპანია"-ს დირექტორი
ელ-ფოსტა: belotsverikmazashvili@yahoo.com
ტელ.: +995 593794004

ძვირფასო ბატონო წვერიქმაზაშვილი,

გმადლობაც გიხდით თქვენი წერილისთვის, რომლითაც ითხოვთ მშენებლობის ნებართვას აშშ-ს საელჩოს კომპლექსთან ახლოს.

საელჩოს არ აქვს არანაირი წინააღმდეგობა ჩვენთვის მოწოდებული შენობის სტრუქტურის შესახებ, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით - 01.13.01.004.164 და თბილისის მერიის არქიტექტურულ განყოფილებაში განცხადების რეგისტრაციის ნომრით #AR1844070.

თუ გაქვთ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები შენობის დიზაინში, გთხოვთ შეგვატყობინოთ ამის შესახებ წინასწარ.

პატივისცემით,
/ ხელმოწერილია /
ჯეისონ კელბფლიჩ
მენეჯმენტის მრჩეველი
აშშ საელჩო თბილისი

სენსიტიური, მაგრამ არაკლასიფიცირებული

მთარგმნელი: სალომე აბრახამია

მე, ნოტარიუსს ქალაქ თბილისში ზ. ბათუაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, დიღმის მასივი, გრ. რობაქიძის №7, მომმართა მოქალაქე **სალომე აბრახამია** (დაბ. 10.06.1993. თბილისში, მცხ.: თბილისი, გლდანის 2, მიკრო რაიონი, კორპუსი 26, ბინა 156, პირადი №62502019689 გაცემული 02.03.2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი №000353, ინგლისური ფილოლოგია, გაც. 2015 წელს, უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე მთარგმნელმა. მან წარმოადგინა დოკუმენტი მისივე თარგმანთან ერთად და მოითხოვა თარგმანზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მოქ. სალომე აბრახამიას პიროვნება მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ასევე შევამოწმე მისივე უფლება უნარიანობა (ინგლისური ენის სპეციალობა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი №000353, ინგლისური ფილოლოგია, გაც. 2015 წელს, და ვადასტურებ, რომ იგი ნამდვილად ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უფლებამოსილია განახორციელოს თარგმნა. მე თარჯიმანი გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტის თარგმანს, რასაც ვამოწმებ.

Before me - I, Z.Batuashvili,, the notary in and for the city of Tbilisi, in my notarial office in 7, Gr.Robakidze str. Digomi massive, Tbilisi – appeared Ms. **Salome Abrakhamia** (born on 10.06.1993, Tbilisi, residing in apt. 156, block 26, micro district 2, Gldani, Tbilisi, personal #62502019689, issued in 02.03.2012 by Ministry of Justice, diploma №000353 - issued in 2015 by the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, the certified interpreter with the diploma of higher education. She submitted the document with its translation and requested to notarize her signature to it.


I established the identity of Mrs. Salome Abrakhamia, the civilian according to the ID documents submitted, also I examined her legal capability (diploma №000353 - issued in 2015 by the Ivane Javakhishvili Tbilisi State University) and I hereby admit that she properly knows English language and is duly authorized to make translations. I, the notary personally warned her about her responsibility for incorrect interpretation. She signed to the document personally in my presence the fact which is certified by me.

გადახდილია საზღაური სულ 4,36 ლარი
Duty paid: 4,36 Gel

საქართველოს მთავრობის დადგენილების (№507 29.12.2011წ) "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე დადგენილების 39-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად + დღგ (18%) – 0.36 თეთრი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა).
Pursuant to the Paragraph 3 of the Article 31 and Paragraph 1 of the Article 39 and Paragraph 2 of the Article 34 of same Resolution of the Government of Georgia (as of 29.12.2011 No. 507) "Considering payment for execution of notarial action and quantity of fee established for the Chamber of Notaries of Georgia, procedures of payment and specification of the service terms" + VAT (18%) - 0.36 tetri (in accordance with Article 166 of the Tax Code of Georgia).

ნოტარიუსი ზ. ბათუაშვილი
Notary Z. Batuashvili

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211090144
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.09.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ზაალ ბათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი დიღმის მასივი გრ. რობაქიძის N
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 (32) 2 51-84-83; 5 99 27 77 92
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	52221844924421



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

წერილის ნომერი: **18-01212362628**
თარიღი: **24/08/2021**
პინი: **7302**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-0121229336
წერილის თარიღი:	17 აგვისტო, 2021
განმცხადებელი:	ბელო წვერიკმაზაშვილი
განაცხადის N	AR1844070
მისამართი	ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N138
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.13.01.004.164
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	საწყობი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ბელო და კომპანია“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სპეციალური ზონა 1 - (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - მცირე ნაწილზე ვრცელდება
არსებული შეზღუდვები	-----
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	ფოტოსურათები ტოპო. გეგმა განმარტებითი ბარათი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და

სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 21-ე, 25-ე, 26-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომასალით, ტოპო. გეგმით არ დასტურდება ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების არსებობა, ***სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.***

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, კვიპაროსის, ელდარის, შავი ფიჭვის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

ასევე, ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე,

ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი